ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს:

ა) მორცხვს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს**.

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

---

1. მწერალს ნამდვილად უნდა ჰქონდეს **ფანტაზიის** უნარი.
   აქ სიტყვა **ფანტაზია** ნიშნავს:

   ა) განსჯას. ბ) ოცნებას. გ) წარმოსახვას.

2. ერთმა **უსუსურმა** კაცმა დევს ჭკუით აჯობა. **უსუსურმა**, ანუ:

   ა) უგუნურმა. ბ) უმეცარმა. გ) უმწეომ.

LIVEWORKSHEETS

3. **გაოგნებული** გულიკო ხმას ვერ იღებდა. **<u>გაოგნებული</u>**, ანუ:

ა) გაოცებული. ბ) ნაწყენი. გ) ჩაფიქრებული.

4. **უშიშარი** ბიჭი ტყეში მარტო დადიოდა შეშისთვის. **<u>უშიშარი</u>**, ანუ:

ა) გამრჯე. ბ) გონიერი. გ) გულმაგარი.

5. ბიჭებმა ლექსო ადვილად ვერ **დაიბრიყვეს.** აქ სიტყვა **<u>დაიბრიყვეს</u>** ნიშნავს:

ა) გადაიბირეს. ბ) დაარწმუნეს. გ) დაჩაგრეს.

6. გაოცებული თინიკო რაღაცას **ბუტბუტებდა.** აქ სიტყვა **<u>ბუტბუტებდა</u>** ნიშნავს:

ა) თავისთვის ლაპარაკობდა.
ბ) ხალისით ლაპარაკობდა.
გ) ხმამაღლა ლაპარაკობდა.

7. დაღლილი წეროები ფრთებს **უილაჯოდ** იქნევდნენ.
აქ სიტყვა **<u>უილაჯოდ</u>** ნიშნავს:

ა) უნებურად. ბ) უღონოდ. გ) უხალისოდ.

8. სახედრის ფეხზე სქელი რქოვანი წანაზარდი არის:

ა) ბრჭყალი. ბ) დეზი. გ) ჩლიქი.

9. ის, ვისაც არაფრისა და არავისი ეშინია, არის:

ა) დაუფიქრებელი. ბ) მოუღალავი. გ) შეუდრეკელი.

10. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
ადიდებულმა მდინარემ …… გადმოლახა.

ა) კალაპოტი. ბ) სათავე. გ) ფონი.

LIVEWORKSHEETS

11. რომელია **ამბორის** მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა?

ა) ალერსი. ბ) კოცნა. გ) ჩაკონება.

12. რომელია **მსუქნის** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

ა) ზორბა. ბ) მსხვილი. გ) მჭლე.

13. გამოთქმა **ფეხის ათრევა** ნიშნავს:

ა) დაგვიანებას. ბ) მოტყუებას. გ) შეჩერებას.

14. მტერს **კუდით ქვას ვასროლინებთ.** გამოთქმა **კუდით ქვას ასროლინებთ** ნიშნავს:

ა) გავაქცევთ. ბ) დავიჭერთ. გ) შევიბრალებთ.

15. ნიკამ **იხტიბარი არ გაიტეხა.** გამოთქმა **იხტიბარი არ გაიტეხა** ნიშნავს:

ა) არ გაიკვირვა. ბ) არ დაინდო. გ) არ შეიმჩნია.

LIVEWORKSHEETS